საახალწლო სიახლეები „ვასაძის პურისაგან“

ბორბოლინული პური
ქალაქური პური
უსაფუარო პური

(რ)

ეზღვიბა ცოცხალი და ნაყოფიერი პროდუქციისაგან

პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის განცხადება

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით პოლიტიკური მსჯელობა იყო და პოლიტიკური სპექტრის მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ეს იყო.

ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო ჩვენი ინიციატივა, თუმცა ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებების და მმართველ გუნდში შექმნილი წინააღმდეგობების გამო, ამ საკითხის ირგვლივ არსებული მყიფე კონსენსუსის შენარჩუნება გუნდში სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

შესაბამისად, 2019 წლის 14 ნოემბერს, აღნიშნული ინიციატივასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებება პარლამენტში ჩავარდა.

ამ მოვლენამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა და პოლიტიკურ ველზე დაძაბულობის ხარისხი გაზარდა.

დაძაბული იყო ვითარება ჩვენი გუნდის შიგნითაც - მაჟორიტარ დეპუტატთა ნაწილი არათუ პროპორციულ, არამედ სრულად მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასაც კი მოითხოვდა. ამ ვითარებაში, არსებობდა გუნდის დაშლის და ქვეყანაში არასტაბილური პო-

▶▶▶ 03-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 45 (10338) 23 დეკემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

შს სამინისტროს გურიის სამმართველოს წინ საპროტესტო აქცია გაიმართა

შს სამინისტროს გურიის სამმართველოს წინ არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, რამდენიმე იპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი 15 წლის მოზარდის გარდაცვალების ფაქტს აპროტესტებდნენ.

„ამ ცხოვრების დედაც!“ –ეწერა მათ მიერ სახელდახელოდ მომზადებულ ფურცლებზე.

აქცია მშვიდობიან ფორმებში მიმდინარეობდა და მას გურიის პოლიციის სამმართველოს მაღალჩინოსნები აკვირდებოდნენ.

შეგახსენებთ გაზეთი „ალიონის“ საცალო ფასია 60 თეთრი

ხელმოწერა:

6 თვით – 15 ლარი

ერთი წლით – 30 ლარი

დელემურში ადგილობრივი მოსახლეობა გზის სამუშაოებში უშუალოდ მონაწილეობდნენ

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში რამდენიმე დღეა, სოფლის ყველა უბანში მიმდინარეობს ბეტონის გზების დაგების სამუშაოები.

გასულ ხუთშაბათს, შპს „გურიამშენის“ ბეტონმზიდი მძიმეწონიანი ავტომანქანები ვანისქედისა და უკანავას უბნებში იყვნენ მობილიზებული.

გაზეთი „ალიონი“ ბეტონის გზის დაგების პროცესს უკანავაში, დელემურის უბანში დაესწრო.

ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, დელემურისა და თაფურიათის მთებს შორის, მდინარე ბახვისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, რომელსაც მე-9 საუკუნის ასკანის ციხე გადაჰყურებს. აქ 35 ოჯახი ცხოვრობს: ვაშალომიძეები, ჭეიშვილები, ინწკირველები, ჩხიკვაძეები, ტოროტაძეები, ცეცხლაძეები, შავაძეები, მარკოიძეები, ხოზრევანიძეები, ზურგალიძეები, თევაძეები .. . უკანავაში 4 უბანია: უკანავა, ვაკე, დელემური, თაფურიათი.

ამჯერად ჩვენ დელემურს ვესტუმრეთ. ამ უბანში მიმავალთ „ზურგში“ მოგვყვებოდა ბეტონმზიდი მანქანა. უბანში, მათ დელემურელები ელოდნენ. ბეტონმზიდს ლოდინი არ დასჭირვებია. მთელი უბანი ელოდა და მისვლისთანავე კაცი თუ ქალი შეუდგა მუშაობას. სწრაფად შლიდნენ მზა ბეტონს გზაზე და მიიწევდნენ წინ.

ჩვენ რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ:

გენადი ზურგალიძე –3 შვილის მამა ვარ. ამ უბანში 8 ოჯახი ვცხოვრობთ. გზა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკანავა მუნიციპალიტეტის და სოფლის ცენტრიდანაც ერთ-ერთი ყველაზე დაშორებული დასახლებაა რთული ბუნებრივი პირობებით. უბანში, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე ცუდ ამინდში ჭირდა მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილება, პრობლემა ჰქონდა სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადებს. ამიტომ სოფლის პროგრამაში ჩავერთეთ და დღეს აქ მთელი უბანია მობილიზებული.

თეა ტოროტაძე: – ქალები მამაკაცებთან ერთად ვმუშაობთ ყანაში და აქ როგორ არ გამოვიდოდი.

რომან ვანაძე, მერიის რწმუნებულის თანაშემწე სოფ. მთისპირში: – დღეს ვანისქედშიც იგება ბეტონის გზა. დელემურში გზის ყველაზე რთულ 100-მეტრიან მონაკვეთზე იგება ბეტონის საფარი. ყველგან ადგილობრივები ასრულებენ სამუშოებს.

მუნიციპალიტეტის დიდ თანადგომაზე საუბრობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი სოფელ მთისპირში **მაია ჩავლეიშვილი:** –რამდენიმე დღეა ბეტონმზიდი მანქანები სოფელ მთისპირშია მობილიზებული. ჩვენთან, სოფლის განვითარების პროგრამით, რომელიც 39 ათას ლარს შეადგენს, 565 მეტრი ბეტონის გზა უნდა დაიგოს. ბეტონის გზები უკვე დაიგო ოქროსქედში, დაბლა ვანისქედში (დიხაშხოს უბანი), ვანისქედში, ცენტრის უბნებში, უკანავაში დღეს ვასრულებთ სამუშაოებს. რაც მთავარია, სოფლის მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო ინფრასტრუქტურულ პროექტებში და სამუშაოები მათ შეასრულეს.

ჩვენ, მერიის წარმომადგენლები, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ვლადიმერ ჩავლეშვილი, თანასოფლელების გვერდით ვართ და ადგილზევე ვწყვეტთ წამოჭრილ პრობლემებს, რაშიც გვერდით გვიდგას მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახური. – გვითხრა მაია ჩავლეიშვილმა.

ბეტონის გზის დაგების სამუშაოები სოფელ მთისპირში დასრულდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის განცხადება

ლიტიკური ვითარების შექმნის საფრთხე.

ამ ფონზე, ბუნებრივია, რომ მმართველ პარტიას, როგორც პასუხისმგებლიან პოლიტიკურ ძალას, ერთი დღე არ შეუწყვეტია კომპრომისების ძიება და ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საერთაშორისო მეგობრების, ჩვენი დასავლელი პარტნიორების თანადგომა. ამისთვის, გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მათ, რადგან კომპრომისების ძიებას, პოლიტიკური პროცესის ნორმალიზებას და ქვეყნის მშვიდობიან, დემოკრატიულ განვითარებას ალტერნატივა რა თქმა უნდა არ გააჩნია.

რთული პროცესების შედეგად, ,,ქართული ოცნების“ გუნდმა შეძლო არსებულ ვითარებაში ოპტიმალური, კომპრომისული გადაწყვეტილების შეთავაზება და მიღება.

პოლიტიკურ სპექტრს ჩვენ ვთავაზობთ ინიციატივას, შევინარჩუნოთ მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა, თუმცა 2/3-მდე გავზარდოთ პროპორციულობის წილი ამ სისტემაში.

ამ ინიციატივაზე შეთანხმების შემთხვევაში, პროპორციული წესით ავირჩევთ 100 დეპუტატს, ნაცვლად 77-ის, ხოლო მაჟორიტარული მანდატები 50-დე შემცირდება.

შესაბამისად მომავალ პარლამენტში იქნება 100 პროპორციული მანდატი, თუ ეს შეთანხმება შედგა და იქნება 50 მაჟორიტარული მანდატი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროპორციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ქართველ ხალხს რეფერენდუმზე გარკვეულწილად გამოხატული აქვს საკუთარი ნება, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილების სახით აისახა კიდეც კანონმდებლობაში 2005 წლის 23 თებერვალს და განისაზღვრა, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება 150 დეპუტატისგან, რომელთაგან 100 - პროპორციული, 50 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმმა ამის ლეგიტიმაცია არ მისცა წინა ხელისუფლებას, სამწუხაროდ, 2008 წლის 12 მარტს, ,,ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ხალხის მიერ რეფერენდუმზე გამოხატული ნების გარეშე და საწინააღმდეგოდ შეცვალა ეს თანაფარდობა და მათ გაზარდეს მაჟორიტარული მანდატების რაოდენობა, პროპორციულის ხარჯზე. მაშინ მიღებული იყო გადაწყვეტილება ზუსტად საწინააღმდეგო იმისა, რასაც ჩვენ ახლა ოპოზიციას და საზოგადოებას ვთავაზობთ.

რა თქმა უნდა, ყველა საარჩევნო სისტემა, როგორც სრულად მაჟორიტარული, პროპორციული თუ შერეული, დემოკრატიულია და თითოეულ მათგანს საკუთარი უპირატესობა და ნაკლი აქვს.

ჩვენ ვხედავთ, რომ სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური კრიზისების წყარო ხდება განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, ისეთი ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა გერმანია, ლატვია, ესპანეთი, ბელგია და არაერთი სხვა მაღალგანვითარებული სახელმწიფო. ამის ნათელი მაგალითია ისრაელიც, სადაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გამო ვერ ხდება მთავრობის ფორმირება და ბოლო 1 წლის განმავლობაში, უკვე მესამედ უწევს არჩევნების ჩატარება, რაც ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის რა თქმა უნდა იქნება კრიტიკული და იქნება დესტაბილიზაციის აშკარა საფუძველი.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის, პოლიტიკურ კლასში პოლარიზაციის ხარისხის და კომპრომისების პოვნის ტრადიციის დეფიციტის გათვალისწინებით, სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ნამდვილად ახლავს სახელისუფლებო კრიზისის და ქვეყნის დესტაბილიზაციის მაღალი რისკები, რაც ხშირად შეუძლებელს ხდის კოალიციის შექმნას და რაც ხშირად გამოიხატება ისეთი ელემენტარული გადაწყვეტილებების ვერ მიღებაზე, რომელიც პირდაპირ აისახება ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე. ყველას გვახსოვს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის საჯარო განხილვების დროს ჩვენი მოქალაქეებიც კითხვებს გვისვამდნენ.

მიგვაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში, როგორც შიდა, ისე გეოპ-ოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოსთვის, ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის საუკეთესო სწორედ ამ კონტექსტში სწორედ შერეული საარჩევნო მოდელია, რომელსაც, შეგახსენებთ, რომ იტალია სრულად პროპორციული სისტემის შეცვლის შემდეგ ახლახანს დაუბრუნდა.

აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს მაჟორიტარი დეპუტატების წილსაც, თუმცა გაცილებით სჭარბობს პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა.

,,ქართული ოცნების“ მიერ შეთავაზებული ამ ინიციატივით, პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა, მაჟორიტართა რიცხვის შემცირების ხარჯზე, 2/3-მდე იზრდება, რაც არის მნიშვნელოვანი ცვლილება. სწორედ მეტი პროპორციულობა იყო ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მთავარი რეკომენდაციაც და რეფორმების სულისკვეთებაც, რომელსაც ჩვენ მხარი დავუჭირეთ ერთი წლის წინ.

აქედან გამომდინარე, მივმართავთ პოლიტიკურ სპექტრს, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის სტაბილური, დემოკრატიული განვითარებით, აქტიურად ჩაერთონ ამ საკითხის განხილვაში და საერთაშორისო თანამეგობრობის მაღალი ჩართულობით, სწრაფად მივაღწიოთ კონსენსუსს და დავასრულოთ ამ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური ვნებათაღელვა.

ვაზუსტებ - გუნდში მიღწეული კონსესუსი და იცით, რომ უმრავლესობის შიგნით იყო ორ სხვადასხვა მოდელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა, გუნდში მიღწეული კონსესუსი ამჟამად არის ამ ცვლილების არა მხოლოდ 2020 წლის არჩევნებისთვის, ერთჯერადად, არამედ შემდგომი არჩევნებისთვისაც დემოკრატიული და დაბალანსებული სისტემით ჩატარების დაკანონებას.

ამასთანავე, გარწმუნებთ, აქტიურად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ ეუთო-ს რეკომენდაციების ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდეს, არჩევნები კი დემოკრატიულ, სამართლიან და თავისუფალ და კონკურენრულ გარემოში ჩატარდეს, რომელზეც ხალხი გადაწყვეტს, თუ ვის ანდობს ქვეყნის მომავალს და მართვის ძირითად პასუხისმგებლობას. ეს ჩვენ ვუთხარით დღეს ოპოზიციასაც.

დასასრულ, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ,,ქართული ოცნების“ აღნიშნული გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი აზროვნებით არის ნაკარნახევი, რადგან ჩვენს ქვეყანას, მოქალაქეებს, განვითარებისთვის მშვიდობიანი, სტაბილური და დემოკრატიული გარემო ესაჭიროება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ოპოზიციაც გამოიჩენს სახელმწიფოებრივ მიდგომას, შედგება კონსენსუსი და ყველა ერთად მშვიდად განვაგრძობთ ქვეყნის სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებას. ამის წინა პირობა კი ნამდვილად არსებობს.

სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მოწვეული სამშენებლო კომპანიების წარმომადგე-ნლებისთვის, პრეზ-ენტაციის სახით წარმოდგენილი იქნა 2020 წელს გურიის რეგიონში, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

,,შეხვედრაზე მყოფი კომპანიები ძირითადად რეგიონში ოპერირებენ და სხვადასხვა პროექტი აქვთ განხორციელებული. მსგავსი სახის შეხვედრები მათ საშუალებას მისცემს, გაეცნონ დაგეგმილ სამუშაოებს და დაინტერესების შემთხვევაში, მიიღონ მონაწილეობა გამოცხადებულ ტენდერებში. ჩვენთვის მნიშვნე-ლოვანია, რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან კოორდინირებული მუშაობა“ - განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

ლერმონტოვის და მგელაძის ქუჩების მოასფალტება მიმდინარეობს

სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე გაეცნო. პროექტის ღირებულებამ 261 330 ლარი შეადგინა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შ.პ.ს ,,გზამშენი 18“ ახორციელებს.

არ სჭირდება სუიციდს მიზეზები, ერთია მხოლოდ საკმარისი და ეს ერთი ჩვენი გულგრილობაა

სუიციდს მიზეზები არ სჭირდება - ვაი, რომ ცხოვრებამ მასწავლა... თითის გაშვერა სხვისკენ, იოლია, მაგრამ ჩაუღრმავდე გარემოს და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს - ძალიან ძნელი...

ადამიანი თვითმკვლელობამდე გულგრილობას მიჰყავს...

,,მე არავის ვჭირდები" - ეს სიტყვები ჩემმა მეუღლემ უკანასკნელ ღამეს მითხრა და ჩემგან ნათქვამი ,,მე მჭირდები" - ვერ აღმოჩნდა ისე ძლიერი, რომ მეორე დღეს მეზობლის მიტოვებულ სახლში თოკზე დაკიდებული არ მენახა...

არა აქვს აზრი ასეთ დროს დასვა კითხვა: რატომ? რადგან პასუხს ვერავინ გაგცემს. ისღა დაგრჩენია საკუთარ სიტყვებს დაუფიქრდე, საკუთარ ქმედებებს.

გასცემ კი სიყვარულს? შეგიძლია კი დაივიწყო საკუთარი ტკივილი სხვისი ტკივილის დაყუჩების სანაცვლოდ? გაუწვდი კი ადამიანს მარჯვენას უყოყმანოდ???

მოზარდთა თვითმკვლელობამ იმატაო საქართველოში და ყველგან და ყველაში ვეძებთ დამნაშავეს, საკუთარი თავის გარდა...

რას ვაძლევთ ამ მოზარდებს? სიცივეს.

რითი ვკვებავთ? აგრესიით.

რას ვახვედრებთ ყოველ დილით? გულგრილობას.

რა ესმის ჩვენგან? ტელეეთერებიდან? ნეგატიური ინფორმაციები, უსიყვარულობა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანები და ტყუილი, ტყუილი, ფსევდო ლიბერალიზმი, ფსევდო პატრიოტიზმი...

მას ეგებ სწამდა... ჩვენ ჩვენი დაუფიქრებელი ქმედებით ეკლესიასაც გადავუარეთ და სულის თავშესაფარიც მოვუსპეთ...

და ასეთ დროს, გულგრილობის ამ უსაშველო ჭაობში მყოფებს გვიკვირს მოზარდები, რომლებიც აი, ასე უმოწყალოდ მიდიან???

არ სჭირდება სუიციდს მიზეზები. ერთია მხოლოდ საკმარისი და ეს ერთი ჩვენი გულგრილობაა.

დადგებიან ახლა 15 წლის ბიჭის ცხედართან და დამნაშავეების ძებნას გადაჰყვებიან. მე კი ასეთ დროს იმ ქალის კითხვა მკლავს სულ: რატომ არავის უყვარდი, შვილო???

გამოფხიზლდით, ადამიანებო. გაეცით სითბო, სიყვარული, სიკეთე, გაგება - სანამ დროა!!!

თორემ მოზარდთა სუიციდი ჩვენი საბოლოო განაჩენი გახდება!!!

ნინო მშვიდობაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში

ბიუჯეტი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ჯუმათის გზის რეაბილიტაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის 60 დადგენილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 186 800 ლარით.

ჩემთვის, როგორც მუნიციპალიტეტის მერისთვის, ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

თქვენ, როგორც ამომრჩევლებს, გაქვთ უფლება, ფლობდეთ ამომწურავ ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ, უფრო მეტიც, მონაწილეობდეთ მის ფორმირებაში.

2019 წლის 11 თვის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 9 ივნვრის 1 დადგენილებით ცვლილება შევიდა სოცია-ლური პროგრამებიდან დახმარებების გაცემის წესში.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის 8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2018 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ნოემბრის № 20 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 7 648 426,55 ლარით, მათ შორის საკუთარი შემოსავლები 851300 ლარით, დანარჩენი 6 797 126 ლარი საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები.

წლის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 23 803 100 ლარით. ამდენად, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2019 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 47 989 900 ლარით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეფუთვა

ბიუჯეტის შემოსულობები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს მიღებულმა ტრანსფერებმა და გრანტებმა ჯამში 15 593 600 ლარი შეადგინა. მათ შორის:

ევროკავშირის გრანტი - 15 600 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი - 253 000 ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -- 1 074 000 ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად - 1 523 200 ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 9 697 800 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ - 3 030 000 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2019 წლის 1 ივნვრის მდგომარეობით შეადგინა 7 409 887,7 ლარი. მათ შორის:

1. საკუთარი ნაშთი - 5 021 666,80 ლარი;

2. ევროკავშირის გრანტის ნაშთი - 41295,79 ლარი;

3. მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - 20 454,78 ლარი;

დანარჩენი 2 326 470,33 ლარი საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით გამოყოფილი : სოფლის პროექტების, რეგიონალური პროექტების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსაზღვრული თანხები.

თქვენთვის, როგორც ამომრჩევლებისთვის ყველაზე საინტერესო და აქტუალური საკითხია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც შეადგენს 39 306 500 ლარს.

2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 4 658 000 ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5380 000 ლარი) 87 %;

– ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 129 000 ლარი წლიური გეგმის (გეგმა 143 000 ლარი) 90,20 %;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ შეადგინა 23 387 300 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 29 794 800 ლარი) 78 % ;

– საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5 662 100 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6 236 300 ლარი) 91 %;

– სპორტული და კულტურული ობიექტების, ღონისძიებების ახალგაზრდული და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებამ შეადგინა 4 131 500 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4 543 400 ლარი) 91 %;

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 1 338 600 ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1 892 400 ლარი) 71 %;

31 დეკემბრამდე პრიორიტეტების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 100 % -ს მიაღწევს.

2019 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 350 000 ლარი

სარეზერვო ფონდიდან უშუალოდ ჩემი გადწყვეტილებით 1000 – მდე ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება.

სოციალური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან მოქმედებს ელექტრონული ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული, ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

2019-2020 წლების შედარებითი ანალიზი.

2020 წლის დასაგეგმი ბიუჯეტი 2019 წლის ანალოგიური პერიოდის ბიუჯეტთან შედარებით 2 024 800 ლარით მეტია.

– ინფრასტრუქტურის მშენებლო-ბა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ შეადგინა 7 257 900 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 151 700 ლარით აღემატება.

საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4 800 000 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 800 000 ლარით მეტია, ეს თანხა დაემატა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსებას, და ამ თანხაში გათვალისწინებულია სბავშვო ბაღების პერსონალის ხელფასის ზრდა. სპორტული და კულტურული ობიექტების, ღონისძიებების, ახალგაზრდული და რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება 494 100 ლარით მეტია 2019 წლის დაფინანსებასთან შედარებით.

რაც ძალიან მნიშნელოვანია, მოსახლეობისთვის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 104 500 ლარით. ეს შეეხო, ძირითადად, ისეთ პროგრამებს როგორიცაა :

სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება.

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება

ლეკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება.

აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს უკვე წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 26 211 600 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები:

1. *ინფრასტრუქტურის განვითარება.*
2. *დასუფთავება, გარემოს დაცვა.*
3. *განათლება*

ოზურგეთში შემოსასვლელის მოწყობა

4.*კულტურა, ახალგაზრდული საქმეები.*
5. *ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პაკეტები.*

სამოქალაქო ბიუჯეტი

მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს კომპონენტი იძენს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

ჩართულობის მექანიზმების გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობა. სწორედ ამიტომ დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტი!

სიახლე, სატესტო ეტაპზე, მხოლოდ ქალაქ ოზურგეთს მოიცავს.

პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდზე, ქალაქ ოზურგეთში რეგისტრირებულ მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აეტვირთათ საპროექტო განაცხადები, რომელიც უნდა შეხებოდა ქალაქში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემას და მისი გადაჭრა უშუალოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა.

შემოსული განაცხადები გადაირჩა და გამოქვეყნდა ამავე პორტალზე, ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა მოხდა პროექტის ღირებულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე დადგენილი შესრულების კოეფიციენტის საშუალებით.

პროექტები დაფინანსდება თანმიმდევრობით, რიგითობისა და პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით.

კენჭისყრაში მონაწილეობა ქალაქ ოზურგეთში რეგისტრირებულმა 4 499 - მა მოქალაქემ მიიღო.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში 3 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა!

1. ქ.ოზურგეთში, გ. ეპისკოპოსის ქუჩა 25-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.

2. ქალაქ ოზურგეთში, (ანსეულში) მეცნიერების ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობა.

3. ლაშეს სტადიონის კეთილმოწყობა.

პროექტის განმახორციელებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ ერთად. აღნიშნული საპილოტე პროექტის მაგალითზე მოსახლეობის ჩართულობით, ადგილობრივი სბიუჯეტო სახსრების განკარგვის უნიკალური მოდელი შეიქმნა.

არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სამუშაო გეგმის თანახმად.

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტებისვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 8 584 867 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით (468 565 ლარი) განხორციელდა 600 ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მოასფალტდა 22 272 მ. გზა - ჯამური ღირებულებით 6 743 467 ლარი.

მოეწყო ბეტონის გზები - ჯამური სიგრძით 12 946 მ. საერთო ღირებულებით 1 351 800 ლარი.

• დაბა ლათური 250 მ. • დაბა ნარუჯა 300 მ. • დაბა ნასაკირალი 350 მ. • დაბა ურეკი 100 მ. • ასკანა 300 მ. • ბაილეთი 270 მ. • ბახვი 1 521 მ. • გურიანთა 200 მ. • ვაკიჯვარი 30 მ. • კონჭკათი 1 400 მ. • ლიხაური 500 მ. • მაკვანეთი 810 მ. • მერია 865 მ. • ნაგომარი 100 მ. • ნატანები 1 210 მ. • სოფ. ოზურგეთი 90 მ. • სილაური 735 მ. • ცხემლისხიდი 100 მ• ძიმითი 210 მ• ჭანიეთი 730 მ• ჯუმათი 732 მ. • შრომა 2 143 მ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფლის პროგრამით განხორციელდა 300-მდე პროექტი.

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში ქუჩების: (მაიაკოვსკი, გურიელი, ანდღულაძე, კოსტავას ქუჩაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სავალი ნაწილის) რეაბილიტაციის სამუშაოები - 731. გრძ.მ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულებით - 265 563 ლარი.

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების (26 მაისის ქუჩა, თაყაიშვილის II ჩიხი, გაბრიელ ეპისკოპოსის შესახვევი) რეაბილიტაციის სამუშაოები - 353 გრძ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა - ღირებულებით 121 871 ლარი.

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების: დავით აღმაშენებლის ქუჩის II ჩიხი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩის I შესახვევი, კიტა მეგრელაძის ქუჩიდან შ.პ.ს. „დენიმ“-ის შესასვლელამდე, გრიბოედოვის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია -1425 გრძ.მ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა. ღირებულება - 399 589 ლარი.

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში (ვაჟა-ფშაველას, გიორგი სალუქვაძის, ჯანაშიას ქუჩების, გურიის ქუჩაზე მდებარე შპს „იმედის“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე – 607 გრძ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულება 211 411ლარი.

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში (შევჩენკო, პუშკინი, ყაზბეგი) ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები - 969 გრძ.მ. ღირებულება - 288 876 ლარი.

• დასრულდა სოფელ დვაბზუს ცენ-

▶▶▶ გვ-4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში ბიუჯეტი

დვაბზუს ხიდის მშენებლობა

ტრიდან სოფელ ბოხვაურის სასაფლაომდე 1 387 გრძ. მ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულება 343 960 ლარი.

დასრულდა ოზურგეთი ნინოშვილილესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით 4198 გრძ. მ. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ღირებულება - 1 469 164,35 ლარი. დასრულდა ქალაქ ოზურგეთში იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე - 2 267 გრძ. მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულება 1 018 102 ლარი.

დასრულდა ოზურგეთი-ნინოშვილილესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით 5 667 გრძ.მ. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები,ღირებულება - 1 893 763.58 ლარი;

გარდამავალი პროექტია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი 6 032 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 2 358 999 ლარი.

სრულდება სოფელ ცხემლისხიდი-ვაკოვკარის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის (1 662 გრძ.მ.)სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 729 999 ლარი.

სრულდება ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფელ ხვარბეთის გავლით კონჭკათის საზღვრამდე დამაკავშირებელი 4 868 გრძ.მ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულება - 977 777 ლარი;

სრულდება გაღმა დვაბზუ – ბახვის ცენტრალურ გზამდე 2 260 გრძივი მეტრი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ღირებულება - 738 992 ლარი;

დასრულდა ქ. ოზურგეთში გურამიშვილის ქუჩის მირთებისა და წმინდა ნინოს

სახელობის სამრევლო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარის ორმული შეკეთები სამუშაოები ჯამური ღირებულებით 42 918 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში დასრულდა შიდა საუბნო გზაზე საყრდენი კედლის და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 47 845 ლარი.

მიმდინაროებს ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩის სამი ჩიხისა (II, IV და გამსახურდიას ჩიხის, ასევე, ჯავახიშ-ვილის ქუჩის პირველი შესახვევის გზის საფარის რეაბილიტაცია. ღირებულებით - 84 775 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში დასრულდა საუბნო გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულება - 95 548 ლარი.

ქ. ოზურგეთში, აღმა შენებლისა და თაყაიშვილის ქუჩებზე ჩიხების, ასევე ლერმონტოვის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით - 75 184 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეთში შიდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 221 944 ლარი.

სოფელ ნატანების ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ღირებულებით - 278229 ლარი;

გზების მოწესრიგებასთან ერთან მუნიციპალიტეტი ზრუნავს მგზავრთა და ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე:

მოეწყო ქ. ოზურგეთში, გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში ორი ერთეული ერთსექციანი ციმციმა შუქნიშანი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დამონტაჟდა 68 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა და განთავსდა თვალსაჩინო ადგილას სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები. მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელოვნური ნაგებობის - სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით - 40 000 ლარი.

დასრულდა მაკვანეთი – ლიხაურის საავტომობილო გზაზე მდინარე აგიდაყვაზე დაზიანებული ხიდისა და მისასვლელების, სოფელ ოზურგეთში მდინარე ნატანებზე დაზიანებული ხიდის და ქ. ოზურგეთში კ. მეგრელაძის ქუჩის დასაწყისში ასფალტ-ბეტონის საფარის შეკეთების სამუშაოები ღირებულებით - 72 679 ლარი.

მოეწყო საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივ გზაზე გარე განათების 200 ლამპიონი. აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 495 841 ლარით დაფინანსდა, ახალი განათების სისტემა დამონტაჟდა სოფელ შრომაში (ჩირეს უბანი) ღირებულებით - 11 364 ლარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ოზურგეთში (9 აპრილის, პეტრიწის, ჭავჭავაძის და გურიის ქუჩებს) ამორტიზირებულ ტროტუარებს ღირებულებით - 147 366 ლარი.

ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო და რეაბილიტირდა ათამდე სხვადასხვა სპორტული ობიექტი. კერძოდ, დასრულდა ქ. ოზურგეთში, მალაზონიას ქ. 8-ში მდებარე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. ღირებულებამ შეადგინა 31 110 ლარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის 27-ში მდებარე სპორტული დარბაზს. ღირებულებით 60 960 ლარი, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის ოზურგეთის სპორტის სასახლეს - ღირებულებით 36 488 ლარი.

ოზურგეთში ოლიმპიური სახლს - ღირებულებით 51 468 ლარი, ქ. ოზურგეთში, კიტა მეგრელიძის ქუჩაზე აშენდა ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ღირებულებით 111 466 ლარი, ასევე, ქ. ოზურგეთში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ღირებულებით 59 104 ლარი.

მიმდინარეობს ქოზურგეთში ბაქრაძის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 62 826 ლარი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკრეაციული ადგილების მოწყობა-მოწესრიგებას.

ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები:

ქ. ოზურგეთში, კეთილმოეწყო გურამიშვილის ქ. 7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზო, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერი, რომელთა ღირებულებაა - 84 584 ლარი. ასევე, ფარნავაზ მეფის ქ. ო127-ში მდებარე 9 სართულიანი სახლის ეზო, ღირებულებით 112 329 ლარი და სიორიძის ო22-ში მდებარე 5 სართულიანი სახლის ეზო - 103 259 ლარი.

ჩატარდა ქ. ოზურგეთში, თენეიშვილის ქ. 4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს და ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 39 600 ლარი;

მოეწყო თენეიშვილის ქ. 6-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს წყალარინების სისტემა, ღირებულება - 54 094 ლარი და სიორიძის ქუჩა 22-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სასმელი წყლის სისტემა ღირებულებით 11 940 ლარი;

შეძენილი იქნა ჭავჭავაძის ქუჩაზე სკვერისთვის 10 000 ლარის ღირებულების ატრაქციონები.

რეაბილიტირდა ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში დენდროლოგიური პარკი.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან 1 268 739 ლარით დააფინანსა ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში, კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც 2020 წლის მარტის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი სახსრებით ჩატარდა

ოზურგეთში, ლერმონტოვის და შევარდნაძის ქუჩებზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 16 060 ლარი.

სოფელ კვირიკეთში დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, გახარჯულია 67 706 ლარი.

სოფელ ნაღობილევში მოეწყო სასმელი წყლის სისტემა გახარჯულია - 154 757 ლარი.

ძიმითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,კოხი''-ს უბანში შესრულდა დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 18 900 ლარი;

გადაიხურა ა.(ა.)ი.პ. ჯ. დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის „გურია"-ს შენობა, ღირებულებით 26 979 ლარი;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა თენეშვილის ქ. 12-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, გაიხარჯა - 148 127 ლარი;

დასრულდა დაბა ნასაკირალში 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 75 აღსაზრდელზე არის გათვლილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 458 413 ლარი.

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის ქ.24-ში მდებარე სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის შენობაში.

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საბავშვო ბაღების დაბა ანასეულის 7, 1, 2, 3, 4, 9 და აა.ი.პ. ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის შენობებში, გახარჯულია - 32 089 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

დაბა ნასაკირალში ჩატარდა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 47 997 ლარი;

გურიის ქ. 35-ში მდებარე ,,სოფლის ნობათი''-ს ტერიტორიაზე, მდინარე ნაბეჟურაზე, სტიქიის მიერ დაზიანებული კედლის და ხიდის

სვეტების გამაგრების სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 105 868 ლარი.

მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვირიკეთში მდინარე ბეჟუის გასწვრივ, იპოდრომთან 543 გრძმ გაბიონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 584 989 ლარი და სოფელ მთისპირის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 41 364 ლარი;

სრულდება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულებით, სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი სამუშაოები, კერძოდ, დაბა ურეკში აკაკი წერეთლის ქუჩაზე 460 გრძმ სანიაღვრე არხის კედლის რკინა-ბეტონით მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 169 196 ლარს.

დასრულდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ასევე ქალაქ ოზურგეთში, 2019 წლის 28 სექტემბერს სტიქიის შედეგად ჩამოშლილი და დაზიანებული გზების მონაკვეთების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციის, გასწორებაზოვნებითი და სახიდე გადასასვლელების გამაგრებითი სამუშაოები. გახარჯულია - 34 000 ლარი;

შეძენილია 30 207 კგმ მავთულბადე, 3 497 კბმ მზა ბეტონი და 6 295

კბმ ინერტული მასალა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 741 401 ლარი, რითაც მოსახლეობის ჩართულობით დაიგო ბეტონის საფარიანი გზა;

მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წელს შეძენილი იქნა ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი, მრავალფუნქციური ტრაქტორი - ღირებულებით 219 000 ლარი, ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი **JCB 4CX Eco Sitemaster** ღირებულებით 213 838 ლარი და ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა - თვითმცლელი, კამაზის მარკის - ღირებულებით 169 595 ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სამშენებლო სახურავის მასალები, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 685 664 ლარს,დაკმაყოფილდა 155-მდე ოჯახი.

გადაიხურა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ღირებულებით 17 997 ლარი;

შეძენილი იქნა თენიეშვილის ქუჩა 12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლების მოთხოვნით სენსორული ნათურები.

სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის შეძენილი იქნა წყლის მილები, ტუმბოები, ავზები და სასაფლაოების შესაღობად ე.წ. ეკლიანი მავთულები;

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობას, ღირებულებით 43 260 ლარი;

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები - ღირებულებით 25 213 ლარი;

გადაიხურა ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩის 26-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი, ღირებულებით 18 117 ლარი;

ჩატარდა თენეიშვილის ქ. 4-სა და ჟღენტის ქ. 4-ში მრავალსართულიანი სახლების სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 6 649 ლარი;

ასევე მოეწყო დაბა ნასაკირალში, მე-3 რაიონში, მოსაცდელთან სველი წერტილი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები:

ქ. ოზურგეთში, კეთილმოეწყო გურამიშვილის ქ. 7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზო, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერი, რომელთა ღირებულებაა - 84 584 ლარი. ასევე, ფარნავაზ მეფის ქ. ო127-ში მდებარე 9 სართულიანი სახლის ეზო, ღირებულებით 112 329 ლარი და სიორიძის ო22-ში მდებარე 5 სართულიანი სახლის ეზო - 103 259 ლარი.

ჩატარდა ქ. ოზურგეთში, თენეიშვილის ქ. 4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს და ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 39 600 ლარი;

მოეწყო თენეიშვილის ქ. 6-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს წყალარინების სისტემა, ღირებულება - 54 094 ლარი და სიორიძის ქუჩა 22-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სასმელი წყლის სისტემა ღირებულებით 11 940 ლარი;

შეძენილი იქნა ჭავჭავაძის ქუჩაზე სკვერისთვის 10 000 ლარის ღირებულების ატრაქციონები.

რეაბილიტირდა ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში დენდროლოგიური პარკი.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან 1 268 739 ლარით დააფინანსა ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში, კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც 2020 წლის მარტის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი სახსრებით ჩატარდა

ოზურგეთში, ლერმონტოვის და შევარდნაძის ქუჩებზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 16 060 ლარი.

სოფელ კვირიკეთში დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, გახარჯულია 67 706 ლარი.

სოფელ ნაღობილევში მოეწყო სასმელი წყლის სისტემა გახარჯულია - 154 757 ლარი.

ძიმითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,კოხი''-ს უბანში შესრულდა დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 18 900 ლარი;

გადაიხურა ა.(ა.)ი.პ. ჯ. დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის „გურია"-ს შენობა, ღირებულებით 26 979 ლარი;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა თენეშვილის ქ. 12-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, გაიხარჯა - 148 127 ლარი;

დასრულდა დაბა ნასაკირალში 2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 75 აღსაზრდელზე არის გათვლილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 458 413 ლარი.

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის ქ.24-ში მდებარე სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის შენობაში.

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საბავშვო ბაღების დაბა ანასეულის 7, 1, 2, 3, 4, 9 და აა.ი.პ. ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის შენობებში, გახარჯულია - 32 089 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

დაბა ნასაკირალში ჩატარდა ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 47 997 ლარი;

გურიის ქ. 35-ში მდებარე ,,სოფლის ნობათი''-ს ტერიტორიაზე, მდინარე ნაბეჟურაზე, სტიქიის მიერ დაზიანებული კედლის და ხიდის

სვეტების გამაგრების სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 105 868 ლარი.

მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვირიკეთში მდინარე ბეჟუის გასწვრივ, იპოდრომთან 543 გრძმ გაბიონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 584 989 ლარი და სოფელ მთისპირის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 41 364 ლარი;

სრულდება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულებით, სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი სამუშაოები, კერძოდ, დაბა ურეკში აკაკი წერეთლის ქუჩაზე 460 გრძმ სანიაღვრე არხის კედლის რკინა-ბეტონით მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 169 196 ლარს.

დასრულდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ასევე ქალაქ ოზურგეთში, 2019 წლის 28 სექტემბერს სტიქიის შედეგად ჩამოშლილი და დაზიანებული გზების მონაკვეთების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციის, გასწორებაზოვნებითი და სახიდე გადასასვლელების გამაგრებითი სამუშაოები. გახარჯულია - 34 000 ლარი;

შეძენილია 30 207 კგმ მავთულბადე, 3 497 კბმ მზა ბეტონი და 6 295

კბმ ინერტული მასალა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 741 401 ლარი, რითაც მოსახლეობის ჩართულობით დაიგო ბეტონის საფარიანი გზა;

მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წელს შეძენილი იქნა ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი, მრავალფუნქციური ტრაქტორი - ღირებულებით 219 000 ლარი, ერთი ერთეული ექსკავატორ-დამტვირთველი **JCB 4CX Eco Sitemaster** ღირებულებით 213 838 ლარი და ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა - თვითმცლელი, კამაზის მარკის - ღირებულებით 169 595 ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სამშენებლო სახურავის მასალები, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 685 664 ლარს,დაკმაყოფილდა 155-მდე ოჯახი.

გადაიხურა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ღირებულებით 17 997 ლარი;

შეძენილი იქნა თენიეშვილის ქუჩა 12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლების მოთხოვნით სენსორული ნათურები.

სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის შეძენილი იქნა წყლის მილები, ტუმბოები, ავზები და სასაფლაოების შესაღობად ე.წ. ეკლიანი მავთულები;

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობას, ღირებულებით 43 260 ლარი;

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები - ღირებულებით 25 213 ლარი;

გადაიხურა ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩის 26-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი, ღირებულებით 18 117 ლარი;

ჩატარდა თენეიშვილის ქ. 4-სა და ჟღენტის ქ. 4-ში მრავალსართულიანი სახლების სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 6 649 ლარი;

ასევე მოეწყო დაბა ნასაკირალში, მე-3 რაიონში, მოსაცდელთან სველი წერტილი გაიხარჯა 3 277 ლარი;

წყალმომარაგება

ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით წყალმომარაგების სამუშაოები განხორციელდა 20 სოფელში ჯამური ღირებულებით 487 523 ლარი, სასმელი წყლით უზრუნველყოფილია 6 631 ბენეფიციარი.

დასრულდა: ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ნაღობილევის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, დაბა ურეკის ტერიტორიულ ერთეულში დაზიანებული წყალმომარაგების ქსელის აღდგენისათვის საჭირო მასალების შესყიდვა. ძიმითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,კოხი''- ს უბანში დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, სილაური – მილების შესყიდვა, შრომა – ხრიალეთი ბაღის წყლის სათავანის მოწყობა, გურიანთაში (ციხისფერდი) ჭაბურღილის მოწყობა, თხინვალში საბავშვო ბაღის წყალმომარაგება, მერია (ჭახვათა) ჭაბურღილის რეაბილიტაცია, მთისპირის თემის ტერიტორიულ ერთეულში (ვანისქედში) დაზიანებული წყალმომარაგების ქსელის აღდგენისათვის საჭირო 1200 გრძ.მ. მილის შესყიდვა, შემოქმედში (ბაღი) წყალმომარაგების მოწესრიგება, სოფელ ძიმითში (ნასაკირალი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ძიმითის (ცენტრი) წყალმომარაგება, კვირიკეთში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, ნასაკირალის თემის ტერიტორიულ ერთეულში დაზიანებული წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ შემოქმედში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, მაკვანეთისათვის წყალსადენის მილების შეძენა, დაბა ნასაკირალის 2 საბავშვო ბაღის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად სხვადასხვა მასალების შესყიდვა და მოწოდება.

გაზიფიცირება

გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა სოფლის 44 უბანში.

ბუნებრივი აირი მიეწოდება 13 455 ბენეფიციარს.

სანიაღვრე არხები

ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოეწყო 503 მ. სიგრძის სანიაღვრე არხი ჯამური ღირებულებით 206 888 ლარი.

სკოლების რეაბილიტაცია

2019 წლის 08 თებერვლის 207 საქართველოს მთავრობის განკარგულებით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 010 000 ლარი. რომლის ფარგლებშიც რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლას.

ახალი, ულტრატანამედროვე სკოლის მშენებლობა დაიწყო დაბა ნასაკირალში.

ამბულატორიები

2019 წლის 02 ივლისის 1510 საქართველოს მთავრობის განკარგულებით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოეყო 1 164 118 ლარი.

• ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩატარდა დაბა ნასაკირალში, კონჭკათში, ჭანიეთში, გურიანთაში, ბაილეთში, შემოქმედში, ბოხვაურში, ნარუჯაში, ნატანებსა და დაბა ურეკში. გაიხარჯა 312 189 ლარი.

ქოზურგეთში ''საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და

გადაუდებელი დახმარების ცენტრი''- ს მშენებლობის სამუშაოების შესყიდვამ შეადგინა 368 485 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს " საქა-

გვ-5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში

ბიუჯეტი

მერიამ ორი ექსკავატორი შეიძინა

რთველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგი-ონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2019 წელს გამოეყო 1 074 000 ლარი.

მოსახლეობის მიერ დასმული პრიორიტეტების შესაბამისად მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 200-ზე მეტ პროექტზე, რომელიც ა უმეტესობე დასრულებულია.

ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით მომზადდა საპროექტო წინადადებები. მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა.

2020 წელს იგეგმება:

1. ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით 2 ბოგილას გზის რეაბილიტაცია (1468 გრძ.მ)
3. ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკალდიდი)-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4 030 გრძ.მ).
4. ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაცია.
5. შემოქმედის ცენტრიდან მონასტერთან და სასაფლაოსთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევის (4 უბანში) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
7. შეკვეთილში შიდა გზების მოწყობის სამუშაოები(მეორე ეტაპი).
8. კურორტ ურეკის შემოვლითი გზის (უსკალეიკის) გზის რეაბილიტაცია.
9. სოფელი შრომა (ჩირე) ურეკი გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
10. საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივი გზის კმ 44-დან სოფელ ბოხვაურის ცენტრის გავლით შემოქმედი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელ გზამდე გზის რეაბილიაცია.
11. სოფელ მთისპირი-ასკანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
12. ასკანის თემში, სოფელ მზიანის შიდა გზის რეაბილიტაცია
13. ნატანების სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია.
14. ლიხაურში აჭის საუბნო გზის რეკონსტრუქცია.
15. კოსტავას ქუჩის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.
16. ჭადრაკის სკოლის შენობის რეაბილიტაცია.
17. ქ. ოზურგეთში ერისთავის ქუჩის, გურიის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩამდე ტროტუარის მოწყობა.
18. გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის ტროტუარის რეაბილიტაციის სამუშაო.
19. პირველი სკოლის მიმდებარედ კიბის მოწყობა.
20. სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) გურიის ფუტბალის და სპლაჟი ფენებურთის ფედერაციის სპორტული მოედნის მოწყობა.
21. საგზაო სასწორების შეძენა (2 ერთეული).
22. ქოზურგეთში გ.. ეპისკოპოსის ქუჩის (დოლიძის ქუჩის კვეთიდან ერისთავის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა (ფილებით).
23. სოფელ ლიხაურის ცენტრალური გზაზე გარე განათების მოწყობა.
24. გრიბოედოვის ქუჩაზე ახალი სკვერის მოწყობა (21-ის მიმდებარედ).
25. ვიქტორ დოლიძის ქუჩა 13- 15-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოს კეთილმოწყობა.
26. კოსტავას ქ. 2 და 4-ის ეზოს კეთილმოწყობა.
27. ქ. ოზურგეთი იოანე პეტრიწის 1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოს მოწყობა.
28. ოზურგეთის და ღმაშენებლის ქუჩაზე 2 სართულიან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 165 და 177-მდე ეზოს კეთილმოწყობა.
29. ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილის ქ. 14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.
30. ნარეჯის ე.წ ფაბრიკის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.
31. მეცნიერების ქუჩა 14-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
32. უნივერსიტეტის ქუჩა 12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
33. თენიეშვილის ქ. 4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

გურიაში ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშემწყობი სერვისი იხსნება

გურიაში ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშემწყობი სერვისი იხსნება

ევროკავშირის, **ASB** საქართველოს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით საქველმოქმედო ასოციაცია გურია ახორციელებს პროექტს ,,ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის შექმნა გურიის რეგიონში''.

პროექტი მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების ადრეული ინტერვენციის სპეციალისტებად გადამზადებას, სერვისის განსახორციელებლად აუცილებელი მასტიმულირებელი გარემოს შექმნასა და სერვისის მიწოდებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

ადრეული ინტერვენციის პროგრამა განკუთვნილია ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ განვითარების სირთულეების მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები.

პროექტის ფარგლებში დღეს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის საჭიროების მქონე ბენეფიციართა მშობლებთან, ბაგა-ბაღის მენეჯერებთან და პედაგოგებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სირაძე და სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს გურიის რეგიონში ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, პროგრამისა და სისტემათა შორის თანამშრო-მლობის მნიშვნელობაზე. მშობლებმა კომპეტენტური პირებისგან უშუალოდ მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.

ადრეული ინტერვენცია ეს არის ბავშზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. აღნიშნული პროგრამით სარგებლობა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, შესაბამისად ოჯახებისთვის ამ პროგრამით მომსახურების მიღება უფასოა.

ფესტივალიდან ფესტივალზე - გურულები საპრიზო პოზიციებს არ თმობენ

მარი კოძოევი

უკვე მეორე წელია შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ივერია-ბრილიანტი ფართო მასშტაბებით იმართება. ფესტივალი მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში რესოციალიზაციას, მათ დასაქმებას, განათლებას, უფლებების დაცვას და, რა თქმა უნდა, ხელოვნებასა და სპორტში სრულ ჩართულობას, ასევე მათი ნიჭ-იერების პოპულარიზაციასა და ახალი სახეებისა და პროდუქტის შექმნას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას. ფესტივალის ორგანიზატორია ნუგზარ-პეტრე ჭიაბერაშვილი. ფესტივალი ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

წლეულს ფესტივალში საქველმოქმედო ასოციაცია ,,გურიას'' ბენეფიციარები წარმატებით მონაწილეობდნენ. ჰქონდათ როგორც სოლო, ასევე გუნდური სიმღერო ნომრები. ფესტივალი ოთხ ეტაპად ჩატარდა და ოთხივე შემთხვევაში გურულმა მონაწილეებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს. მათ შორის **მონიკა ახვლედიანმა** პირველი ადგილი და გრამ-პრი დაიმსახურა, **ნიკა მარკოიძემ** მეორე ადგილი, **დათო მენაბდე** პატრიოტული სიმღერის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა, **თამუნა ლურსმანაშვილი** ფესტივალის ფერია გახდა. ასოციაცია ,,გურიას'' გუნდი კი საუკეთესოდ დასახელდა.

კიდევ ერთი აღსანიშნავი ამბავი ისაა, *რომ ფესტივალის, მათ შორის მონიკა ახვლედიანი და თამუნა ლურსმანაშვილი, ახლა უკვე უკრაინაში, ქალაქ ვინიცაში გაემგზავრნენ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ფესტივალს ,,მსოფლიო საზღვრებს გარეშე'' ახორციელებს უკრაინული ორგანიზაცია ,,ვოოოპ'', რომელსაც დიმიტრი შეეცი ხელმძღვანელობს.*

მონიკა ახვლედიანი: *– მადლობა ყველას, ვინც საშუალება მომცა ამდენი ადამიანი გამეცნო, მათი სიყვარული მოვიპოვებინა, პირველ რიგში, ასოციაცია ,,გურიას''. მე არ დავაკელი ცდა, რომ ღირსეულად წარვმდგარიყავი მყურებლის წინაშე. მჯერა უკრაინიდანაც წარმატებულები დავბრუნდებით.*

თამუნა ლურსმანაშვილი: *– მსგავს ფესტივალებში მონაწილეობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ, მადლობა მინდა ვუთხრა ნუგზარ ჭიაბერაშვილს, რომ ივერია-ბრილიანტზე მიგვიწვია, ჩვენი ნიჭი დაეფასა. რაც შეეხება უკრაინის ფესტივალს, ეს ჩვენთვის პირველი გასვლაა საზღვრებს გარეთ. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას ჩემი უკრაინაში , რომ უზრუნველყო. მადლობა პედაგოგ ვარდო ჯინჭარაძეს რომელმაც მონიკა მოამზადა ფესტივალისთვის.*

რომან ლომაძე,– *ასოციაცია გურიას ხელმძღვანელი: ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ შესაძლებლობები შეუზღუდავია. ეს ყველაფერი ერთ-ერთი ხიდია საზოგადოებამდე მისასვლელად. კიდევ ერთხელ უნდა დავანახოთ ყველას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.*

დღესასწაულად ქცეული დაბადების დღეები-განწყობა რომელიც აბედნიერებს

უკვე ტრადიციად იქცა რომ კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი უკვე ერთი წელია ახორციელებს. იდეის ავტორი კულტურის ცენრის მასობრივ ღონის-ძიებათა ორგანიზატორი, **მია თანდილ-აშვილია.** ,,პროექტის შთაგონების წყარო ჩვენი და ასოციაცია გურიას მეგობარი **ირაკლი დოლიძეა**. მას ჰქონა დაბადების დღე და დიდი სურვილი რომ საზეიმოდ აგვეღნიშნა. სწორედ მისი დაბადების დღით დავიწყეთ. მერე იმდენად დიდი ინტერესი გაგვიჩნდა რომ

ულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი უკვე ერთი წელია ახორციელებს. იდეის ავტორი კულტურის ცენრის მასობრივ ღონის-ძიებათა ორგანიზატორი, **მია თანდილ-აშვილია.** *,,პროექტის შთაგონების წყარო ჩვენი და ასოციაცია გურიას მეგობარი* **ირაკლი დოლიძეა**. *მას ჰქონა დაბადების დღე და დიდი სურვილი რომ საზეიმოდ აგვეღნიშნა. სწორედ მისი დაბადების დღით დავიწყეთ. მერე იმდენად დიდი ინტერესი გაგვიჩნდა რომ*

გადავწყვიტეთ ამ ყველაფრისთვის უფრო მასშტაბური ხასიათი მიგვეცა და სხვა ბავშვებიც გაგვეხარეინა. მოგვაქვს საჩუქრები, საკონცერტო პროგრმა, ისინიც შესაბამისი განწყობით გვხდებიან . ასე ერთობლივი ძალისხმევით ლამაზი დღეები გამო-გვდის. ვფიქრობთ გავაგრძელოთ მათთან თანამშრომლობა და სიახლეები შევიტანოთ პროექტში. ჩვენ მათთან ურთიერთობა ძალიან გვიხარია'' გვი-თხრა თანდილაშვილმა.

სულთათანა

შორენა გოგუაძის ხსოვნას

ოზურგეთის ნარკოლოგიურმა ცენტრმა დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა სანიმუშო თანამოქალაქე, დამსახურებული ქალბატონი, ადამიანური ღირსებით გამორჩეული პიროვნება, შორენა გოგუაძე.

სამწუხაროა, რომ ქალბატონ შორენაზე წარსულში გვიწევს საუბარი– კარგი მეუღლე (ცნობილი ხელოვანი იყო ოთარ გოგუაძე), შვილები, შვილიშვილები, როგორი მეგობარი და ჭირსა და ლხინში გვერდზე მდგომი ადამიანი.

ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს. ასაკის მიუხედავად, ენერგიულად, პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას.

ძალიან დიდი სიცარიელე დაგვიტოვა მისმა გარდაცვალებამ.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის გურიის რეგიონული ცენტრი.

ამირან მამულაშვილის ხსოვნას

მე ვერ დავწერ ისეთ ლამაზ ლექსებს, ვერ მოვქრგავ სიტყვებს ისე ლამაზად, როგორც თქვენ წერდით, მაგრამ როგორ არ ამოვიღო გულის ნადები ადამიანზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის, თავისი კუთხის, სოფლის, საოცრად მოსიყვარულე და ერთგული ქმაგი იყო. კარგი იქნებოდა სიცოცხლეში მიმეძღვნა მისთვის ლამაზი სიტყვები, დაგვეფასებინა მისი ამაგი და გაგვეხარებინა ორიოდე თბილი სიტყვით, მაგრამ ვერ მოვასწარი.



ბატონი ამირან მამულაშვილი სოფელ ბაილეთის მკვიდრი იყო, ქართული ტრადიციებისა და კულტურის მატარებელი ძირძველი ოჯახის შვილი. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა მშობლიურ სოფელში დაიწყო აგრონომად. მუხლმოუხრელად ემსახურებოდა თავის ხალხს და ქვეყანას. იყო პასუხისმგებლობით სავსე , მცოდნე და ენერგიული მუშაკი, პატიოსნების და ერთგულების სანიმუშო მაგალითი..ყველას გვერდით მდგომი, დამხმარე, უღალატო მეგობარი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. კაცური კაცის სახელი,რომელიც მან დატოვა ხალხის გულში ვერასდროს წაშლის დრო და ვერასდროს დაფარავს მტვერი. მისი ჰობი ლექსების, ჩანახატების წერა იყო. გამოცემული ჰქონდა ლექსების კრებული, თანამშრომლობდა გაზეთ „ალიონთან.“. ეს ნიჭი და შესაძლებლობა მან ღვაწმოსილი ადამიანების ამაგის დასაფასებლად და სიხარულის მისანიჭებლად გამოიყენა. წერდა ყველაზე ვის ღვაწლსა და საქმისადმი თავდადებას ხედავდა. ყველას დიდს თუ პატარას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა .

ბატონ ამირანის ოჯახი გამორჩეული იყო სტუმარ-მასპინძლობით, მეუღლე ქალბატონი ლილი ქართული სუფრის ნამდვილი დიდოსტატი იყო. უხაროდათ ამ ოჯახში სტუმრობა, მათგან წაღებული სითბო და სიყვარული ყველას დიდხანს მიჰყვებოდა კეთილ მოგონებად. შესანიშნავი შვილების მამა, ძვირფასი მეუღლე და ბაბუა, ამ ბობოქარ ენერგიისა და ხასიათის კაცს ვერანაირი სენი ვერ მოერეოდა, რომ არა ის მწარე ქარტეხილი,რომელის ცხოვრებამ დაატეხა თავს. ნაადრევად დაკარგა მისთვის უძვირფასესი ადამიანები- ჯერ მეუღლე, შემდეგ რძალი, შვილი, სიძე... რამაც გატეხა მისი ჯანმრთელობა. ამირანის ბიოგრაფია მისი გარდაცვალებით არ მთავრდება. მან ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.მისი სახელი თავისი გაკეთებული კეთილი საქმეებით მუდამ იცოცხლებს ახლობლების, მეგობრების, სოფელ ბაილეთის მცხოვრებთა ხსონაში.

მზევინარ ხავთასი,
ბაილეთის საჯარო სკოლის
დირექტორი;

გაზეთ „ალიონი“, მისი ყოფილი და ამჟამინდელი თანამშრომლები –ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, ნუკრი ნიკოლაიშვილი, ნინო სალუქვაძე, ნელი ლაგაზაშვილი, ნინო ნიკოლაიშვილი, ლია კილაძე, გიგლა გიორგაძე, ნუგზარ ასათიანი, ამირან გოგიტაური, თემურ მარშანიშვილი, გია გოგოლაძე, მარი კოძოევი თანაუგრძნობენ ნინელი კალანდაძეს მეუღლის **თემურ ქილიფთარის** გარდაცვალების გამო.

როზა გოგუაძე, გულსუნდა მახარაძე, იამზე კიღურაძე, ლელა დვალიშვილი, ნონა ღლონტი თანაუგრძნობენ ნინელი კალან-დაძეს მეუღლის **თემურ ქილიფთარის** გარდაცვალების გამო.



ნოდარ დონაძე ოჯახით იუწყება თავისი მეგობრის, ღვაწლმოსილი ადამიანის **ამირან მამულაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი





№ 44-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გიგა ლორთქიფანიძე; წყლისა და შაქრის ნაზავი – სიროფი; ფეხბურთის მეფე – პელე; პირველი რიცხვი – ათი; ნაცია – ოსი; წყალქვეშა კლდე – რიფი; ცისფერი მთები – ტიანშანი; მათემატიკის საგანი – არითმეტიკა; მუზეუმ-ქალაქი უზბეკეთში – სამარყანდი; ვრცელი სია – არზა; დიდი ჩაქუჩი – ურო; მდინარე ჩინეთში – ხუანხე; ზაფხულის თვე – ივნისი; ადიღეს დედაქალაქი – მაიკოპი; თურქეთში გავრცელებული ქალის სახელი – აიშე; არმატურის ჩონჩხი – კარკასი; შრიფტის ზომა - ნონპარელი; მეტალოპლასტმასის დამამზადებელი ფირმა – დიო; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; ქალაქი რაჭაში – ონი; ორაზროვანი გადაკრული სიტყვა – ქარაგმა; ბიძა – ძია; ქალაქი იტალიაში – ნაპოლი; სოლი – პალო; მსუბუქი ქარი – სიო; მდინარე ქართლში – იორი; ნავთობის საზომი ერთეული – ბარელი; სქელის ანტიპოდი – თხელი; მეორე ნოტი – რე; მწვანილი – ნიახური; მუხუდო – სოიო; მარილიანი – მლაშე; პურის სოკო – ობი.არხეინი - დარდიმანდი

მიადგა პატრიარქის სახელს ჩრდილი?!..

ერთხელ პატრიარქს თავისი დაცვისათვის ხუმრობით უთქვამს: –ეს კიდევ საკითხავია, თქვენ მიცავთ მე, თუ მე გიცავთ თქვენ!

პატრიარქს დაიცავს მისი დიდი ღვაწლი და არა ხელზე, მისი სამოსის კალთაზე ფარისევლური ამბორი...

უწმინდესზე, როგორც ერის სულიერ მამაზე და მათ შორის ჩემს მამაზეც, მეც გამომითქვამს სამდურავი და ეს უკავშირდება 1991-1992 წლების მოვლენებს. მას ბევრი მღელვარე, უმართავი პროცესი შეუჩერებია. შემდგომი დროის საქართველოში და მაშინაც შეეძლო ეს გაეკეთებინა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ის ხრამი, ის უფსკრული, რომელიც მაშინ ჩვენს ქვეყანას გააჩნდა, ვერც ერთმა მთავრობამ ვერ ამოავსო, პირიქით, უფრო ღრმა გახდა...

პატრიარქს, სიბრძნესა და დიპლომატიაში უთვლიდნენ იმას, რომ მთავრობებთან ჰქონდა რბილი, ლოიალური, ღიმილიანი დამოკიდებულება, რაც ასე „ღირსეულად“ დაუბრუნეს უკან...

რამდენი უბედურება, ვარამი, ენით გამოუთქმელი სიდუხჭირე გამოვიარეთ ამ ოცდაათი წლის მანძილზე. ყველა მთავრობა ხალხს სათავისოდ იყენებდა, მერე მოტყუებულს, დამცირებულს სანაგვეზე მიაგდებდა, თავად კი ყველა საქმეში ფართო ჭიშკარს აღებდა...

არ მახსოვს სულიერ მამათაგან ამაზე ვინმე აღშფოთებულიყო!...

ქართული ეკლესიის ისტორიაში გიორგი მთაწმინდელი არის გამორჩეული ფიგურა. როცა ათონის მთიდან დაბრუნდა საქართველოში, ნახა უამრავი მშენებარე ეკლესია-მონასტრები, ხალხი კი შიმშილიდან იხოცებოდა. მან არ დაერიდა მეფე ბაგრატ მეოთხეს, მკაცრად მოსთხოვა ყველა მშენებლობა შეეჩერებინა და ხალხი დაეპურებინა, რასაც მეფემ უსმინა და შესაბამისად მოიქცა...

გიორგი მთაწმინდელმა ამხილა მაშინდელი მოსამართლენიც, მათაც მკაცრად მოუწოდა დაეცვათ ქვრივ-ობოლთა სამართალი, რათა მათ სიმართლის წყალობა შეეტკბოთ...

ამ წლების მანძილზე ერთხელ მაინც დაგვენახა მხარდამჭერის ასეთი მაგალითი...

87 წლის პატრიარქის აღსაყდრებიდან 43 წელი სრულდება.

–დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩვენთან უფალო!..და ვიდრე უფალი მოვიდოდა მასთან, ენით უთქმელი სიბინძურე მივართვით!...

სირცხვილია?..უფრო სიკვდილია!!!..

კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: – *ცილისწამებით უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანსო*“...

მიადგა პატრიარქის სახელს ჩრდილი?!

არა და არა, რადგან ეს იყო არა ერთი კაცისაკენ მიმართული მახვილი, არამედ მთლიანად ეკლესიისაკენ. ეკლესიას კი ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან!..

ერთი რამ გამოკვეთილად მენიშნა: –*ამ ამბავის შემდეგ ხალხი არა თუ ალაპარაკდა, არათუ განიკითხა პატრიარქი, პირიქით, უფრო მტკიცედ დადგა ეკლესიაში და ყველაფერს მშვიდი დუმილით შეხვდა, ისე როგორც დიდსულოვნად დუმს და არაფერს ამბობს თავად უწმინდესი...*

* * *

„ო, ბედისწერავ, უსამართლო თუ სამართლიანო,
რატომ ტოვებ ჩრდილში
რუსთაველს და საქართველოს,
რატომ, რატომ, რატომ?!...
ხ ო მ ა რ გ ე შ ი ნ ი ა
შ ე ნ ი თ ა ვ ი ს?!
აქ არის ყველაზე მეტი პრანჭია
ყველაზე მეტი უსაქმური,
ყველაზე მეტი მშიშარა
აქ არიან მხდალები და ნიჭიერები,
აქ არის არტისტები ცხოვრებაში
უიღბლოები ნამდვილ სცენაზე,
აქ არის უხმო მომღერლები,
დამალეთ, დამალეთ, დამალეთ
ეს ქვეყანა.“–

გურამ რჩეულიშვილი

ოლიკო კობალავა-ჩხაიძე

ქართველი მოჯირითეები საზღვარგარეთ

რიჩარდ ჯორჯიანი

მივესალმები ჩემს ქართველ ძმებს შეერთებული შტატებიდან.

მე გახლავართ სოფელ ფახლუანში დაბადებული ალექსი ესტატეს ძე გოგოხიას შვილიშვილი.ალექსი უცხოეთში გამგზავრებულ მრავალ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება. ის ოპოზიციურად იყო განწყობილი რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული დომინანტური პოლიტიკის მიმართ და როგორც თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, აჯანყდა იმ რეჟიმის წი-ააღმდეგ 1893 წლის დეკემერში .ალექსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა 1896 წელს და მომდევნო წელს შეუერთდა ლუკა ჩხარტიშვილის ბუფალო ბილის უაილდ ვესტსა და ველური მოჯირითეების კონგრეს. უნდა აღინიშნოს,რომ ალექსი არ იყო მოჯირითეთა შორის პირველი, ვინც უცხოეთში გაემგზავრა.

ყველაფერი დაიწყო სოფელ ბაზვში ივანე მახარაძისაგან.1892 წელს უილიამ ფრედერიკ ქოუდმ, რომელიც ბუფალო ბილის სახელიტ იყო ცნობილი, მოაწყო შოუ 10 ქართველი მოჯირითისათვის ლონდონში, ინგლისში, ინგლისში მოჯირითეთა შორის იყვნენ: ივანე მახარაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია ,ირაკლი ჭყონია, ლევან ჯორბენაძე, მოსე გიგინეიშვილი, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. ისინი ლონდონში 1892 წლის 26 მაისს ჩავიდნენ. ივნისში დედოფალმა ვიქტორიამ ბუფალო ბილს შემდეგი წერილი გაუგზავნა:, ,მისი აღმატებულება დიდად პატივცემული იქნება თუ უაილდ უესტის მენეჯერები როგორმე მოახერხებენ მათი კაზაკი მოჯირითეების უინძორების სასახლეში მობრძანებასა და ცხენზე უკუღმა ჯირითის ჩვენებას მისი აღმატებულებისათვის“.

დიახ, თავიდანვე ბუფალო ბილთან მომუშავე პრესის აგენტები ქართველ და გურულ მოჯირითეებს „რუს კაზაკებს“ უწოდებენ.

ივანე მახარაძისა და მისი მოჯირითეების დიდმა წარმატებებმა დაარწმუნა ბუფალო ბილი, რომ მის გარდაცვალებამდე 1917 წელს მუდამ ჰყოლოდათ ქართველი მოჯირითეები შოუში.მეორე ცირკის მფლობელი, ბუფალო ბილზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჯეიმს ბეილი ბარნუმისა და ბეილის ცირკიდან. მას სმენოდა ქართველი მოჯირითეების შესახებ და უნდოდა მიეწვია რამდენიმე მონაწილე ცირკში 1893 წელს.

1893 წელს პირველად ჩამოვიდა ამერიკაში ქართველ მოჯირითეთა ორი ნაკადი. ერთი ბუფალო ბილისათვის მუშაობდა ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაში და მეორე ჯეიმს ბეილის საკუთრებაში მყოფ ადამ ფორეპას ცირკში.ადამ ფორეპას ჯგუფში 12 მოჯირითე შედიოდა .ამათგან ერთი ქალბატონი ფრიდა მგალობლიშვილი იყო. ფრიდა დიმიტრი მგალობლიშვილთან ერთად 1894 წელს და მუშაობდა ბარნუმ ენდ ბეილის დედამიწაზე ყველაზე დიდი შოუში (ასე ეწოდებოდა მას), რომელიც ამერიკის მასშტაბით მოგზაურობდა. ლუკა ჩხარტიშვილი და ცხრა მოჯირითე კი მთელი წლით დაბრუნდნენ ბუფალო ბილის შოუში ბრუკლინში, ნიუ იორკში.

ქართველები ბუფალო ბილის შოუში მხოლოდ 1895-1899 წლებში მოღვაწეობდნენ,ყოველწლიურად ისინი მიემგზავრებოდნენ საქართველოდან მარტში, ნიუ-იორკში ჩადიოდნენ აპრილში და სეზონის ბოლომდე ამერიკაში მოგზაურობდნენ,რაც ჩვეულებრივ ოქტომბრამდე გრძელდებოდა. სახლში ნოემბრის თვეში ბრუნდებოდნენ.

ქართველ მოჯირითეთა პოპულარობამ იქამდე მიაღწია, რომ უაილდ უესთის ყველა შოუს უნდოდა, რომ მასში მონაწილეობა „რუს კაზაკებს“ მიეღო.1900-1905 წლებში ქართველები ჯირითობდნენ 10 სხვადასხვა შოუში ბუფალო ბილმა თავისი შოუ კვლავ ჩაიტანა ინგლისში. 1903 წელს და იმოგზაურა ევროპაში 1906 წლამდე..ქართველი მოჯირითეები ამ შოუთი ეწვივნენ ინგლისს,საფრანგეთს, იტალიას, ავსტრიას, უნგრეთს, გერმანიას და ბელგიას. რაც შეეხება სხვა მოჯირითეებს, ისინი სხვადასხვა შოუში მუშაობდნენ და მოგზაურობდნენ ამერიკის მასშტაბით.

ქართველი მოჯირითეები არა მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობდნენ, არამედ ისინი იყვნენ ავსტრალიაში, კანადაში, კუბაში, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში (ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი).

ასობით ქართველმა მოჯირითემ იმუშავა უცხოეთში 1892—1920 წლებში. ფრიდა იყო პირველი მოჯირითე ქალი 1893 წელს .მაგრამ მომდევნო წლებში სხვა ქალბატონებიც ჩავიდნენ და შეუერთდნენ მოჯირითეთა პლეადას ამერიკაში.

დრო გადიოდა .ქართველები ყოველწლიურად ბრუნდებოდნენ შინ, ზოგნი ამერიკაში რჩებოდნენ და მკვიდრებოდნენ ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში. 1914 წელს მსოფლიო ომმა და 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ხელი შეუშალა საქართველოსა და ამერიკას შორის გადაადგილებას.ამერიკაში მყოფ ქართველებს იქ დარჩენა მოუხდათ. ქართველთა კარიერა, როგორც უაილდ უესტის მოჯირითეებისა, ფაქტიურად დასრულდა.

ისტორიამ მიივიწყა ის ქართველი მოჯირითეები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ, საზღვარეთ საზოგადოების გასართობად.პროფესორმა ამირან ცამციშვილმა 1950 წელს აღადგინა უცხოეთში მყოფი ქართველი მოჯირითეების ისტორიის მცირე ნაწილი ის ესაუბრა რამდენიმე ადამიანს, თუმცა ისინი ფაქტებთან მიმართებაში დაბნეულობას ამჟღავნებდნენ.

მე ვმუშაობ ქართველ მოჯირითეთა ისტორიაზე 1998 წლიდან და მას შემდეგ ,რაც საქართველოში ჩამოვედი 2000 წლის სექტემბერში, ვამაყობ ჩემი მემკვიდრეობით, თბილისში მე შევხვდი ამირან ცამციშვილს, რომელმაც მირჩია, რომ არ ავჩქარებულიყავი ჩემი კვლევების წარმართვისას.შემიძლია ვთქვა ,რომ არ ავჩქარებულვარ და ვაგრძელებ ინფორმაციის შეგროვებასა და ამერიკაში მყოფი ქართველი მოჯირითეების ისტორიის წერას.დიდად დავალებული ვარ ბატონ ირაკლი მახარაძისა და ქალბატონ მანანა ლომაძის წინაშე.განსაკუთრებით ქალბატონ მანანას წვლილზე მინდა აღვნიშნო, რომელმაც გასაოცარი სტუმართმოყვარეობით მიმიღო 2000 წელს და უკვე 10 წელია დაუშურებლად მაწვდის ინფორმაციებს გურიიდან.

მე ვალში ვარ წართველი და გურული ხალხის წინაშე ამიტომაც დავასრულებ ჩემს წიგნს და გამოვცემ მამაცი ქართველი ქალბატონებისა და ბატონების ისტორიას, რომლებმაც საცხენოსნო ხელოვნებით გააკვირვეს მსოფლიო და სახელი მოიხვეჭეს 100 წელზე მეტი წლის წინ.

აფერუმ ჩვენს გალერეას!

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი იუბილარია

თემურ მარშანიშვილი

რა ჰქონდათ საერთო გურულ ფირალებსა და მხატვრებს?

პასუხი უტყუარია: გეოგრაფიული ადგილი, რომელიც სამოღვაწეოდ ერთისთვისაც ხელსაყრელი იყო და მეორისთვისაც; ამ ადგილის სიყვარული, რის გამოც მას ვერც ერთი ელეოდა და ვერც მეორე.

ეს ადგილიც საყოველთაოდ ცნობილია: გურია - ოზურგეთი. აქედან გამომდინარე, არანაირ ახირებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის, მარტივად რომ ვთქვათ, ოზურგეთის სამხატვრო გალერეის დირექტორის, ბატონი **ავთანდილ თავართქილაძის** უკვე რამდენჯერმე თქმული, რომ ოზურგეთი არა მხოლოდ ფოლკლორის, არამედ სახვით ხელოვანთა ქალაქიცაა. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს საიუბილეო ღონისძიებაზე ერთ-ერთი ბათუმელი მხატვრის ნათქვამი: „ზოგიერთ დიდ ქვეყანასაც არ ეყოლება იმდენი შემოქმედი და ხელოვანი, განსაკუთრებით მხატვრები, რამდენიც გურიას ჰყავს“.

წერილის ექსპოზიციის სრულყოფაში კინაღამ დაგვავიწყდა იმის თქმა, რომ 14 დეკემბერს ოზურგეთის სამხატვრო გალერეა იუბილარი იყო. სანამ საიუბილეო ღონისძიების აღწერას შევუდგებოდე, მანამდე ვულოცავ ოზურგეთელ მხატვრებს, გალერეის თანამშრომლებს, ოზურგეთის საზოგადოებას, შენ, ჩემო მკითხველო, მეც და თქვენც, ჩემო კოლეგებო ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, სამხატვრო გალერეის ოცდაამეათე დაბადების დღეს. ჩვენ ხომ ყველამ ერთად ისე შევესისხლხორცეთ და შევესულიერეთ გალერეას, რომ უმისოდ ჩვენი ოზურგეთი და გურია ვერ წარმოგვიდგენია.

ოზურგეთის გალერეა ჩემთვის, პირადად სახვითი ხელოვნების რიგითი გულშემატკივრისა და მოყვარულისთვის, ის ადგილია, საითკენაც, მშვენიერების ნახვისა და აღქმის მიზნით, აჩქარებული ნაბიჯით მივისწრაფი ხოლმე, გამოსვლისას კი, ფეხს ვითრევ, იქაურობა არ მეთმობა.

ჩვენს ქალაქში დღეს სამად სამი ადგილია, სადაც ადამიანს ნანახის განცდით სიხარულისგან გული აგიფართხალდება. ეს გახლავთ ბებერი, 150 წლის თეატრი, ჩვენი იუბილარი - სამი ათეული წლის სამხატვრო გალერეა და მათთან შედარებით პირმშო - ფოლკლორის სახლი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი იუბილარის მიზნები და ამოცანებია სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, არსებული მხატვრულ-შემოქმედებითი ტენდენციებისა და ზოგადად კულტურული ფასეულობების მოძიება, გამოვლენა, დაცვა და შესწავლა, შეიძლება ითქვას, რომ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი ამ მისიას უნაკლოდ ასრულებს.

ამიტომაც ითქვა საიუბილეო ღონისძიებაზე მართლაც დასამახსოვ-რებელი სიტყვები, ამიტომაც დაიღვარა ამდენი სითბო, გამოითქვა სურვილები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ შემოქმედი სტუმრები ბათუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან... მოკლედ, გალერეის საიუბილეო ღონისძიება იმდენად რეზონანსული გამოდგა, რომ მასში, გარდა დედაქალაქელებისა, ჩვენი ქვეყნის რამდენიმე რეგიონის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

სახვითი ხელოვნების მოყვარულთ დღესაც შეუძლიათ, რომ დატკბნენ საგამოფენო დარბაზში იმ დღეს გამოფენილი ცენტრის შემოქმედებითი სახელოსნოს **„Gurian art“**-ის წევრთა გრაფიკული ნამუშევრებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საიუბილეოდ, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კატალოგი, რომელიც მინიატურულად მოიცავს იმ 30-წლიან მოღვაწეობას, რომლის აღსანიშნავად შეიკრიბა აქ დამსწრე საზოგადოება - სტუმარი და მასპინძელი. მართალი გითხრათ, მიკვირს კატალოგზე მომუშავეებმა - ავთანდილ თავართქილაძემ, ირაკლი თოიძემ, ლია ურუშაძემ და თამარ სვანიძემ შინაარსობრივად და რაოდენობრივად როგორ ჩაატიეს ხუთ გვერდში გალერეის მიერ ჩატარებულ გამოფენათა ჩამონათვალი?! მხოლოდ შრიფტის ზომის შემცირებით, ეს, ალბათ, შეუძლებელი იყო.

მისასალმებელია, რომ კატალოგში ცალკეა აღნიშნული გალერეის №1 დარბაზი-სალონის შესახებ, რომელიც ემსახურება გამოფენა-გაყიდვებს. ერთი მხრივ, რეგიონში მოღვაწე ხელოვანებს ეძლევათ საშუალება, მოახდინონ თავიანთი ნამუშევრების ადგილზე რეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ფართო საზოგადოებასა და ტურისტებს შეუძლიათ გაეცნონ სახვითი ხელოვნების ღირებულებებს, შეიძინონ ისინი.

კატალოგში სრულყოფილადაა წარმოდგენილი განხორციელებული თუ მიმდინარე მასშტაბური პროექტები: „ამაგდარი მხატვრები“, „ზამთრის ვერნისაჟი“ (მოსწავლეთა ნამუშევრების სამხარეო გამოფენა), ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა ხელშეწყობის პრო-ქტი, „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“, „თანამედროვე ფოტოგრაფია“, ცენტრთან არსებული სტუდია- შემოქმედებითი სახელოსნო **„Gurian art“**-ის წევრთა მხარდაჭერის პროექტი და სხვა, ინფორმაცია გალერეის ფონდის შესახებ, შესაბამისი ვიზუა-ლური მასალებით.

აფერუმ, ჩვენს გალერეას!

ვიმედოვნებთ, რომ მას როგორც დღეს, არც შემდგომში დააკლდება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, მუნიციპალური პატრონაჟი, საზოგადოების მხარდაჭერა და სიყვარული, რამეთუ სახვით ხელოვანთა ქალაქიცაა ოზურგეთი, რამეთუ ოზურგელმა მომავალმა, როგორც მისმა წინა თაობებმა, ფუნჯითა თუ საჭრეთელით შექმნას და მთელ დუნიას გააცნოს გურული ხიბლით მოვარაყებული შედევრები.

მესამე ბაღმა ბედნიერი ახალი წელი გვისურვა

ალიონი. ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ბედნიერი ახალი წელი გვისურვეს. სადღესასწაულო ღონისძიება, რომელშიც 6 სააღმზრდელო ჯგუფი მონაწილეობდა, 20 დეკემბერს, ბაღის ეზოში გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას ამინდმაც გაუმართლა და სანახაობრივად იშვიათი ზეიმი შედგა.

საბავშვო ბაღი არ ღალატობს ტრადიციებს და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან ერთად, უნარიანად წარმართავს შემოქმედებით საქმიანობას. აღსაზრდელებიც ამართლებენ აღმზრდელთა და მშობელთა იმედებს და პატარ-პატარა სასწაულებს ახდენენ ასეთ ღონისძიებებზე. ჰარმონიულად შესრულებული სიმღერები, ტემპერამენტიანი ცეკვები, ხატოვნად ამოთქმული ლექსები, სხარტულები, გურული იუმორით სავსე დიალოგები, სხვადასხვა თამაშობები. ასეთი რეპერტუარი უფრო მაღალი ასაკის ბავშვებსაც კი შეშურდება.

ბაღის მენეჯერის **კესო ცეცხლაძის** თქმით, ღონისძიების ასეთ დონეზე ჩატარებაში, საბავშვო ბაღის პროფესიონალ პერსონალთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშობლებმაც.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +9+16	მზე, ღრუბელი +9+16	ღრუბელი +4+13	მზე, ღრუბელი +6+11	წვიმა +4+10	ძლიერი წვიმა +1+9	წვიმა 0+8
23 დეკემბერი ორშაბათი	24 დეკემბერი სამშაბათი	25 დეკემბერი ოთხშაბათი	26 დეკემბერი ხუთშაბათი	27 დეკემბერი პარასკევი	28 დეკემბერი შაბათი	29 დეკემბერი კვირა